ხელშეკრულება № 23

ბორჯომი.დვირი.

1 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლა(შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის დარეჯან კევლიშვილის სახით და მეორეს მხრივ, მცირე მეწარმე ოთარ ადუაშვილი პ/ნ 11001008429 (შემდგომში - „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები ასრულებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებას CPV კოდით (60171000);?

1.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ტექნიკურად გამართული, საკუთარი მსუბუქი ავტომობილით (საწვავი, საპოხი და სხვა ტექნიკური საშუალებებით) (VAZ2121 სახელმწიფო ნომრით WVY782) სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემდეგი მიმართულებით: ჩითახევი-დვირი, დვირი-ჩითახევი ხელშეკრულების N1 დანართში მითითებული გრაფიკით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს 84,20 (ოთხმოცდაოთხი ლარი და ოცი თეთრი) ლარს;

2.2. თითოეული მარშრუტის ღირებულება გათვალისწინებულია N1 დანართში;

2.3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. თითოეულ შესრულებულ მარშრუტზე მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ დადებული მიღება-ჩაბარების აქტით;

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. ანგარიშწორების ადგილია ქალაქი ბორჯომი;

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიწოდების ვადა

მიმწოდებელი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016

წლის 1 ნოემბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს გადაუხადოს მომსახურების საფასური;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელი მის ხელთ არსებული ყველა იმ ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მიმწოდებლის მიერ სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის და ხელშეკრულების სრულად შესასრულებლად.

5.2. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

5.3. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) სამუშაო შეასრულოს ტექნიკურად გამართული სატრანსპორტო საშუალებით;

ბ) მოსწავლეთა გადაყვანა განახორციელოს უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით;

გ) იქონიოს ყველა სახის ნებართვა და სხვა სახის დოკუმენტი, რაც აუცილებელია საავტომობილო ტრანსპორტით მისთვის დაკვეთილი მომსახურების გაწევისათვის. ამ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება შემსრულებელს;

დ) მომსახურების გაწევის პერიოდში ნებისმიერი სახის შეფერხების ან გაუთვალისწინებელი შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამკვეთს და მიიღოს ყველა საჭირო ზომა დროულად აღმოფხვრას პრობლემა;

ე) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

5.4. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით;

6.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს

მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
6.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ავალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
8.3. საბაზრო ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე თუ მოხდა საწვავის ფასის ზრდა 30%-ზე მეტით, რაც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ვალდებულების შესრულებას, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ხელშეკრულებაში ბაზრის კვლევით დადგენილი შესყიდვის ფასის ცვლილება.
8.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება
10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით;
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების ენა
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი - მიმწოდებელთან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დვირის საჯარო სკოლა	ო. ადუაშვილი მის: ბორჯომი. სოფელი დვირი
მის. ბორჯომი. სოფ. დვირი	პირადი N 11001008429 ტელ: 577 469 658
სს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი **LBRTGE22**	ანგ. **GE71LB0112151982948000** ს.ს. “ლიბერთი ბანკი“
ანგ.N GE04LB0121164134299000	ბანკის კოდი **LBRTGE22**
ს/კ 226157510	

დანართი **N1**

მარშრუტის მიმართულება: ჩითახევი-დვირი. დვირი-ჩითახევი. სულ 8 გზა;

#	თარიღი	სკოლაში მოყვანის დრო	გზების რაოდენობა	სკოლიდან წაყვანის დრო	გზების რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა	სავარაუდო მანძილი (კმ)	ასანაზღ. თანხა (ლარებში)	შნიშვნა
1	1.11.2016	8:35 -დან 8:55-მდე	1	13:20-დან 13:45-მდე	1	4	5	21.05	
2	2.11.2016	8:35 -დან 8:55-მდე	1	13:20-დან 13:45-მდე	1	4	5	21.05	
3	3.11.2016	8:35 -დან 8:55-მდე	1	13:20-დან 13:45-მდე	1	4	5	21.05	
4	4.11.2016	8:35 -დან 8:55-მდე	1	13:20-დან 13:45-მდე	1	4	5	21.05	
	ჯამი							84.20	

,,შემსყიდველი" /დ.კევლიშვილი/

,,მიმწოდებელი" /ო.ადუაშვილი/